სახალხო გაზეთი

№ 993 შაბათი, 14 სექტემბერი 1913 წ. № 993

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებითი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 17 სექტემბერს.

5 სექტემბერს არმავირში (ყუბანის ოლქი) უეცრად გარდაიცვალა

ნინო მათეს ასული ხოჯერიასი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი მეუღლე მისი **მიხეილ იოსების ძე, მამამთილი იოსები და მაზლი ვლადიმერი.** დაკრძალვა მოხდება 14 სექტემბერს დაბა ლანჩხუთში ნაშუადღევის 3 საათზე. 620

დიმიტრი თომას ძე ხოშტარია (დუტუ მეგრელი) აუწყებს ნათესავთა და მახლობელთ, რომ 11 ამ თვეს ქალაქ გორში გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მისი საყვარელი დედა

მარიამ გაგუას ასული ხოშტარიასი.

გამოსვენება საკუთარ სახლიდან და დასაფლავება გორის სასაფლაოზე მოხდება კვირას, 15 სექტემბერს. 626.

საზაფხულო ახალი კლუბი **შენობა**

კვირას, 15 სექტემბერს,

საოჯახო საღამო

1) სინემატოგრაფი, 2) ცეკვა.

ბაღში დაუკრავს „ახალი კლუბის“ ორკესტრი“, **დასაწყისი საღამ. 9 ს.** სტუმარი იხდის: კაცი 1 მ. ქალი 50 კ. და სტუდენტი 50 კ. 1451

სახალხო მუსულმანთა აუდიტორია **წარმოდგ.** № 1.

სეზონის გახსნა,

კვირას, 15 სექტემბერს, ხარფუხ. ქართულ სახალხ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ, წარმოდგენილი იქნება:

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!

კომ. 3 მ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებს წრის მთელი დასი.

დასაწყ. საღამ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი 4—50 კაპეიკამდე.

მორიგი გამგ. წევრი **ბრ. შათირიშვილი.** რეჟის. **პეპანოვი.** ამ. წრის გამ. 624

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 14 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

ახალი პროგრამით

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი პირველ-ხარისხოვანი ტრუპა. დღისით ბავშვების გასართობი წარმოდგენა. ანტრაქტის დროს ბავშვებისთვის უფასო ჯდომა ცხენზე და ვირზე. დღისით წარმოდგენა დაიწყება 12½ ს. საღამოს წარმოდგენა ძლიერ საინტერესო, ახალი პროგრამით პირველ-ხარისხოვან არტისტთა მონაწილეობით. მონაწილეობს „4 ეშმაკი“ მეხუთე ეხლახან ჩამოსული ამხანაგით, რომელიც თავბრუ დამსხმელ ნომრებს შეასრულებს. გამოვა ,,კრაფტ'' აკრობატი ბ. ლანეგო. გამოსვლა ყოველგვარ ჯიშის პირუტყვის მწვრთნელის ბ. რობერტ'ის. თავისი ფენომენალური ვირით და მათემატიკი ძაღლით. სპორტი ზღვის ეკვილიბრისტთა ,,სიკვდილის კიბეზე'' m-lle დელლა და კარპისა. გამოვლენ საქვეყნოდ ცნობილი იტალიელი აკრობატები ,,გასაგდები ფიცრით'' დელა-კაზოსი. გამოსვლა მუსიკის ექსცენტრიკები ტრიო ბრაკარსი. გამოვლენ სიცილ ხარხარის გამომწვევნი ძმ. ვინჩენცოები. ბ.-ვოლდი თავის ,,ჯოჯოხეთის კიბეზე'' შეასრულებს ზღვის ნომრებს. გამოვა ცხენზე მოსარტალ-მორტალე ბ. ჟოზეფი.

ანონსი: კვირას, 15 სექტემბერს, ორი დიდი წარმოდგენა მსოფლიო ატრაქციონების მონაწილეობით.

623 **დასაწ. საღამ. 8 ნახევ. ს.** **დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606''და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შელავათიანი სადასურით. წ. 1035

მხოლოდ ექვსი დღით

ამ წლის 16, 17, 18, 19, 20 სექტემბერს დიდძალი საქონლის მოგროვებისა გამო

დანიშნულია დიდი იაფობა

(ფასები გასასყიდ საქონლისა დაკლებულია)

ყველა საქონლისა, რომელიც გასულ სეზონისაგან დაგვრჩა

ძლიერ იაფად: სხვა და სხვა საქონლის ნაჭრები და ნარჩენები სეზონისაგან.

მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში.

სავაჭ. ს. „ძმ. გრიგორიანებისა და კომპ.“

მიხეილის და კიროჩნი ქუჩ. კუთხე, სახლი მადერისა, ტელეფონი № 9—14. 1478

ტფილისი

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 1.

კვირას, 15 სექტემბერს, ქართ. დრამ. საზოგად დასის მიერ **ქ-ნ ნ. ჩხეიძის ასულის, ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

ღალატი

დრამ. 5 მოქმ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ნ. ჩხეიძე, დავითაშვილი, მდივანი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმხნელი, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მამფორია, გომელაური, სარაული, ხონელი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღამ. 8 ს.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ადმინ. ქართ. დრამ. საზოგ.

ა ნ ო ნ ს ი: **მზადდება წარმოსადგენად** ,,ციცინათელა'', ,,მეფე ედიპე'', ,,კულტურული მკვლელობა'', ,,ინსტიქტი'' და სხ. 2473

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერონ კლუბის დირიჟორ

ს. ი. პრესმანთან.

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ტფ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.

მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამ. 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სპეციალურ საგნებზე მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—ბ. მ. **ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, გ. მ. ქიქოძე, ე. ვ. ფოგელისა** და **ო. ს. შაბუროვისა.** სკრიპკაზე: **მ. ტ. ვასილიევი.** ვიოლონჩელი—**ე. ნ. კაპელნიცკი.** კონტრაბასი—**მ. ი. შერშოვი,** სიმღერა, solo (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) **ნ. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა** და **ე. ბროჯი.** ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო (ნოტების კითხვა) ჰარმონია და ენციკლოპედია—**ზაქ. პ. ფალიაშვილი,** ხოროს კლასსი—**ზ. ი. ჩხიკვაძე.** ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტოპიანოზე **ე. ი. პოლტარაცკისა** და **კნ. მ. გ. ციციშვილისა.** სკრიპკაზე,—**ვ. მ. ბროდსკი.** სწავლის ფასი: ფორტოპიანოსი 65 მ. წელიწადში, სკრიპკა,—65 და 75 მ. ვიოლონჩელი მ65. კონტრაბასი 50 მ., სიმღერა (solo) 75 მ. თეორიის კლასებში 15 მ. წელიწადში.

სწავლის ფასი გადაჰხდებათ ნახევარ წლობით წინდაწინ. ხმების გასინჯვა, საეკლესიო გუნდში შესასვლელად დანიშნულია ორშაბ. და ხუთშაბათ. საღ. 5—7 ს.

სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს. 1429

ოქროს მედალი როსტოვ-ის გამოფენაზე 1910 წ.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი [illegible] 1910 წ.

ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა მეჯლისებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით 3—5 საათამდე. ოთხშაბ. და შაბათობ. ს.დ. 5—7 ს-მდე. ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448

ექიმი

ი. ზ. ბძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

ექიმი ვ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 76.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეეხმიანონ დარჩენილ გზე,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

ასპისოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ხანდამოვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალანტაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ა. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოჭოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძეიის გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით

1462

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. ჩაჩიბაიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 და საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლღანოვის ქ. [illegible] წ. 1023

ექიმი ი. ი. ბარიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის ავადმყ.;** **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოგვაძლ. სისხლს. იღებს ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ქობულის

ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ნაფიც ვექილის თანაშემწე

გიორგი თევდორეს ძე ურიდანია

დაბრუნდა ტფილისში და კვლავ იღებს საქმეებს **ახალ ბინაზე:** გუნიბის და ყაზბეგის ქუჩის კუთხე, სახ. № 43/41, დილის 8-ნახ.—9-ნახევარ საათ., საღ. 6—8-ნახ. ს. კვირა-უქმეებით დილისით, 10—2 ს. 2475

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 169

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 646

ტფილისი, 14 სექტემბერი

დღითი-დღე ცხადი ხდება, რომ დასავლეთ საქართველოში ახლო მომავალში, დიდი უბედურებაა მოსალოდნელი. გაზეთებში თითქმის ყოველ-დღე იბეჭდება ცნობები იმის შესახებ, რომ შიმშილობა კარს არის მომდგარი. უეჭველია მალე საზოგადოებრივი დახმარება გახდება საჭირო. ვინ უნდა დაეხმაროს დამშეულებს, ვინ უნდა მოაწყოს დახმარება? ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ შიმშილობის გამო დეპუტატმა გელოვანმა იახლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი, რომელმაც დახმარება აღუთქვა. იქნება თუ არა ეს დახმარება, ან რა ფორმაში გამოიხატება იგი, ჯერ არ ვიცით, მაგრამ, ამისდა მიუხედავად საჭიროა ეხლავე გამოირკვეს დახმარების ორგანიზაცია.

რუსეთში შიმშილობის დროს ძალიან დიდს როლსა სთამაშობს საერობო თვითმართველობა. საზოგადოებრივი ინიციატივით შეგროვილი თანხაც საერობო თვითმმართველობაში იყრის თავსა. ჩვენში საერობო თვითმმართველობა არ არსებობს. ადვილად შესაძლებელია მთავრობამ ადმინისტრაცია დაიხმაროს და ადმინისტრატიული წესით მოაწყოს დახმარება. ვინც ჩვენს პირობებს კარგად იცნობს, ადვილად მიხვდება, რომ ასეთი წესი დახმარებისა სრულიად უსარგებლო იქნება. საზოგადოებრივ უბედურებას საზოგადოებრივი ძალღონით უნდა გამკლავება. მხოლოდ ფართო საზოგადოებრივ ინიციატივით მოხერხდება ცოტად თუ ბევრად რეალურ დახმარების მოწყობა. ჩვენში რომ საერობო თვითმმართველობა არსებულიყო, უსათუოდ იგი ჩაუდგებოდა სათავეში ამ საქმეს და თავის გარშემო შემოიკრებდა სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსაც. მაგრამ, რახან ეს ასე არ არის, საზოგადოებრივი დახმარების ინიციატივა უნდა იკისრონ იმ დაწესებულებებმა, რომლებიც ცოტად თუ ბევრად საერობო თვითმმართველობის ფუნქციებს ასრულებენ. ასეთი დაწესებულებანი, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი.

მყიდველთა საყურადღებოდ!
ახალი მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში პაიებით ამხანაგობის
„ს. მ. კირაკოზოვისა და ბ. ბ. ოგანოვისა“
მიხეილის პროსპექტი, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
ამა წლის 26 აგვისტოდან დანიშნულია
დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა
ყველა იმ საქონლისა, რომელიც მაღაზიაში იმყოფება. ფასები დანიშნულია გადაჭრით. 1439.

დიდი სამსახური შეუძლიათ გაუწიონ მცხოვრებლებს საკრედიტო ამხანაგობებმაც. მაგრამ თუ თვითოეული მათგანი ცალ-ცალკე იმოქმედებს და არ იქნება შემუშავებული საერთო გეგმა მოქმედებისა, დახმარების წესიერი მოწყობა გაძნელდება. უნდა გამოირკვეს, რომელი კუთხე რაოდენად არის დაზარალებული, შეიკრიბოს საჭირო ცნობები. სხვათა შორის საჭირო ცნობების შეკრეფვასა თხოულობს დეპუტატი გელოვანიც.

ყველა ამის გაკეთება კი ძალიან გაძნელდება, თუ ძალთა შეთანხმება, ერთგვარი კოორდინაცია არ მოხდა. რახან არ არსებობს მუდმივი ხელმძღვანელი გუბერნიის სამეურნეო ცხოვრებისა—საერობო თვითმართველობა—უკიდურეს შემთხვევებში უნდა შევქმნათ დროებით მაინც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებას გააერთიანებს და სასარგებლო მიმართულებას მისცემს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **პოლიტეხნიკუმი.** 16 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, კრება ექნება საუწყებათა შორისო კომისიას საპოლიტეხნიკუმო ადგილის არჩევის საკითხის გადასაწყვეტად.

✦ **ივერიის მომღერალ-მგალობელთა გუნდმა,** რომელიც ახლახან დააარსა მომღერალმა ვ. მათურელმა, გადასწყვიტა, წირვის დროს იგალობოს ხოლმე ქართველ მეფეთა კარისად ყოფილ წმ. გიორგის ეკლესიაში. გუნდი პირველად იგალობებს დღეს, ჯვართ ამაღლებობას.

✦ **შიოევისეულ სახლის** ჩამონგრევის დროს დაშავებული ქართველი მსახიობი ვიქტორ მატარაძე, რომელიც ერთ-ხანად საავადმყოფოდან გამოეწერა კიდეც, ამ ჟამად ლოგინად ჩავარდა და ველარ ლაპარაკობს. ავადმყოფს რამდენიმე ექიმი სწამლობს.

✦ **წესიერი დასვენება.** ქალაქის გამგეობამ, ქალაქის სავაჭრო სამეურნეო მეთვალყურეთა მოხსენების თანახმად, პოლიცმეისტერს აცნობა, წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებას მოვაჭრენი არ ასრულებენ და პოლიციელნი კი ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენო. პოლიცმეისტერმა ქალაქის გამგეობას შეუთვალა: ბრალდება, პოლიციელთა წინააღმდეგ მიმართული, დაუსაბუთებულია და გთხოვ დაამტკიცოთო. ამის გამო, ქალაქის გამგეობის წინადადების თანახმად, ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურენი საბუთების შეგროვებას შეუდგნენ და დღემდე მრავალი მასალა შეჰკრიბეს.

✦ **წინამძღვრიანთ-კარის იუბილეს** საბოლოო პროგრამა უკვე შემუშავებულია. პროგრამა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ კიდეც დაამტკიცა. იუბილე გაიმართება 29 სექტემბერს, შემდეგის პროგრამით: 1) დილის 10 საათზე წიწამურში ჯვართან და 11 საათზე გურამიანთ-კარში პანაშვიდები ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის თანამშრომელთა—ილია ჭავჭავაძის და დ. ს. სტაროსელსკის სულის მოსახსენებლად, 2) 12 საათზე წინამძღვრიანთ-კარში პანაშვიდი ილია ივანეს ძის მეუღლის—ოლღა მიხეილის ასულის სულის მოსახსენებლად და შემდეგ პარაკლისი, 3) მილოცვა, ისტორიული მიმოხილვის წაკითხვა და სალიტერატურო დილა სკოლის დარბაზში, 4) სკოლის დათვალიერება. საზოგადოების წარმომადგენლებმა და კერძო პირებმა, რომელთაც სურთ სიტყვით მილოცვა, თავიანთი სურვილი უნდა გამოუცხადონ საიუბილეო კომიტეტს 25 სექტემბრამდე (ბარიათინის ქ., 5, ქართული სამეურნეო საზოგადოება).

✦ **ტრამვაის** დირექცია ქალაქის თვითმმართველობასთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით მოვალეა, ქალაქში 130 მოტორიანი ვაგონი ამუშაოს, დღემდე კი მუშაობდა მხოლოდ 115 ვაგონი. დანაკლისს 15 ვაგონისათვის დირექცია ყოველდღე ქალაქის სასარგებლოდ ჯარიმას იხდიდა თვითეულ ვაგონზე საათში 2 მანეთს. ახლა დირექციამ უკვე მიიღო სადგურზე დანაკლისი ვაგონი, რომელსაც ამ დღეებში გამოისყიდის და ამუშავებს.

ზაფხულის სეზონის დასრულების გამო ტრამვაის ვაგონები ამ ჟამად ნახევარ საათით ნაკლებს მუშაობს. უკანასკნელი ვაგონები საბოლოო პუნქტებიდან 11 საათ ნახევარზე ბრუნდება პარკში. 1 ოქტომბრიდან საზამთრო წეს-რიგი იქნება შემოღებული: ვაგონები პარკში 11 საათ. დაბრუნდებიან.

✦ **საბირჟო ცნობები.** 13 სექტემბერს პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მან. 75 კაპ., აძლევდნენ—84 მან. ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ-82 მან. 75 კ. აძლევდნენ—82 მან. 15 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ., აძლევდნენ—78 მ. 15 კ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ ბილეთებისა—484 მ. მეორისა—375 მ. და მესამისა - 320 მან.

✦ **ტ. ფილოიანის** საკომერციო კურსებზე **გაიხსნა პარალელური** განყოფილება.

✦ **ფრენა. ბ. ქებურია,** რომელმაც წარსულ კვირას მოხდენილად იფრინა და კარგადაც დაეშვა, დღეს, 14 სა და ხვალ, 15-ს სექტემბერს გამართავს ფრენას, დიდუბეში სადოლო მოედნის იქით. ფრენა დაიწყება საღამოს 5 საათზე. ამ ფრენის შემდეგ ბ. ქებურია აპირებს დასავლეთ საქართველოსაკენ გამგზავრებას, სადაც ქ. ქუთაისში, ბათომში და სხვაგან გამართავს ფრენას.

✦ **პრემიები საუკეთესო თხზულებათათვის.** ამ დღეებში მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას წარუდგინა თვისი საეთნოგრაფიო ნაწარმოები. „ფშაველი და მისი წუთისოფელი“—როგორც თავის დროზე დაწვრილებით ვწერდით, წ.-კ. საზოგადოებას ორი პრემია აქვს, რომლითაც დააჯილდოვებს საუკეთესო თხზულებათა ავტორთ. პრემიები არის: უგანათლებულეს თავადის გრიგოლ დადიანისა და ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის სახელობისა. პირველი პრემია—400 მან.—მიეცემა ორს წელიწადში ერთხელ, ხოლო მეორე—300 მან.—ყოველ წლივ. საპრემიოდ თხზულებანი წარდგენილ უნდა იქმნას 1914 წლის 1 იანვრამდე. თხზულება უნდა შეეხებოდეს ქართულ ენასა, ისტორიასა, გეოგრაფიასა, ეთნოგრაფიასა, ლიტერატურას და საზოგადოდ საქართველოს. თ-დ დადიანის საპრემიოდ წარდგენილი თხზულება აუცილებლად ქართულს ენაზე უნდა იყოს დაწერილი. განსვენებულ ნ. ღოღობერიძის პრემიის დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცემა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას; შეიძლება თხზულების დაწერა რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზე.

✦ **წესიერი დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ 9-დან 12 სექტემბრამდე ქალაქის მესამე უბანში ვაჭრებს 40 ოქმი შეუდგინა. ამავ ხნის განმავლობაში მეორე მეთვალყურემ მინასიანცმა ქალაქის მეოთხე უბანში 8 ვაჭარს შეუდგინა ოქმი, მეთერთმეტე უბნის მეთვალყურემ უროტაძემ—ექვს ვაჭარს, პირველ უბნისამ გიგიბერიამ—ექვსს და მეათისამ ტერ-ოგანეზოვმა—ათს.

✦ **ფუნიკულერი** 16 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე საღამოს 11 საათამდე იმუშავებს, ხოლო 1 ოქტომბრიდან საღამოს 8 საათამდე.

✦ **საქართველოს ეგზარხოსად,** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დანიშნავენ გროდნოს არქიეპისკოპოს მიხეილს, ან ხოლმისას—ევლოგის.

✦ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა** უკვე დაიბეჭდა და ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიის წევრებს დაურიგდათ. ხარჯთ-აღრიცხვის მუხლმუხლად განხილვას საბიუჯეტო კომისია 17 სექტემბრიდან შეუდგება.

✦ **სასულიერო სემინარიის შენობის** იჯარით აღების თაობაზე ამ ჟამად ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორასთან მოლაპარაკება აქვს ერთს გერმანელს, რომელსაც აზრად აქვს შენობის შეკეთებაზე 200,000 მან. დახარჯოს.

✦ **მილანის ედიქტის.** დღესასწაულს დღეს ტფილისის ყველა ეკლესია იუქმებს.

✦ **მესაქონლეობის გამოფენა.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება 1914 წელს სამ ადგილას აპირობს მესაქონლეობის გამოფენის გამართვას: გორელოვკასა (ტფ. მაზრა), სლავიანკასა და ყაზანში (განჯის მაზრა). გამოფენის გასამართავად სამეურნეო საზოგადოება მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან 4,500 მანათს თხოულობს.

✦ **დიდის მთავრის ქუჩის მოსაკირწყლავი მასალა,** რომელიც ინჟინერმა ვ. ზ. მირზოევმა დაამზადა, ამ დღეებში ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისიამ შეამოწმა, ქალაქის ინჟენერ-ტეხნიკოსის ზურაბიანის მეთაურობით. კომისიამ მასალის 85% უვარგისად იცნო. იგივე მასალა გუშინ ქალაქის გამგეობამ დაათვალიერა, ქალაქის ინჟინერ-ტეხნიკოსების თანხლებით და ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის მეთაურობით, გამგეობამ უვარგისად იცნო მასალის მხოლოდ 10%.

✦ **სასალახო.** გორის ქალაქის მოურავმა ზ. ქიტიაშვილმა ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვა, დაათვალიეროს მას ქალაქის ახალი სასალახო და შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს გორში განზრახულ სასალახოს აგების საქმეში.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** საზოგადოების საბჭომ უკვე მიიღო ბელგიიდან ახალი გუთანი „ბრაბან დუბლ“, რომელიც გამოიწერა ჟამბლუს (ბელგია) სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტის ალ. ორჯონიკიძის რჩევით. საბჭოს აზრად აქვს, ოქტომბრის მეორე ნახევარში სხვა გუთნებთანა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებთან ერთად ეს გუთანიც გამოსცადოს დიღმის ველზე. გუთნის წინასწარი გამოცდა საბჭომ დანიშნა კვირას, 15 სექტემბრისთვის, ნავთლუღში.

საზოგადოების საბჭომ შეიმუშავა ინსტრუქცია თვის აგრონომებისა და კანცელარიისთვის.

მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა საზოგადოების განკარგულებაში გადასდო: 460 მან.—მებაღეობის ტეხნიკოსის მოსაწვევად და 1,000 მან.—სანერგეების შესანახად.

საზოგადოებამ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს შემწეობად სთხოვა 17,000 მან. საკრებულომ 12,500 მან. გადასდო და ამასთანავე აცნობა საზოგადოების საბჭოს, კიდევ მოგცემთ 1,500 მან., თუ საგანგებო თანხას გადარჩაო.

✦ **ფრინველთა მომშენებელ კავკასიის საზოგადოების** წევრთა საერთო კრება ამ დღეებში მოხდება. კრება განიხილავს საკითხს სახაზინო სეფრინველოსას, რომელიც საზოგადოებას გადაეცა.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების** პირველი კრება ზაფხულის შემდეგ 12 სექტემბერს მოხდა, მოქალაქეთა მამასახლისის ბ-ნ არაქელიანის თავმჯდომარეობით. ხარჯის ამკრეპ მამასახლისის ორის თანაშემწის არჩევა სხვა დროისთვის გადაიდო. მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის თანაშემწედ არჩეულ იქმნა ი. ი. საათსაზოვი. ბ-ნ ბელკის ნაცვლად, რომელმაც რწმუნებულის თანამდებობას თავი დაანება, ბ-ნი სეროპიანცი აირჩიეს. დასასრულ მოქალაქეთა მამასახლისმა ბ-ნმა არაქელიანმა კრებას აუწყა, რომ კანცელარიის მოსამსახურემ საფაროვმა 300—500 მ. გაფლანგა და მისი საქმე სასამართლოს ბრალმდებელს გადაეცაო.

✦ **ქალაქის საბჭოს.** მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათ, 16 სექტემბრისთვის. კრებას განსახილველი აქვს 16 საქმე, მათ შორის: 1) ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 2) ქალაქის გამგეობის დადგენილება სატახტო გაზეთ „რუსსკია ვედომოსტი“-ს 50 წლის არსებობის იუბილეს გამო, 3) ქალაქის საბჭოსაპენსიო კომისიის წევრის დამატებით არჩევა, ნაცვლად ი. ნ. ხუნუნცისა,

სასწავლებლებში

✦ **მასწავლებლის ადგილები.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების ორს სკოლაში—გომარეთისა და ალაგირისაში—თავისუფალია მასწავლებლების ადგილები. ჯამაგირი 360 მან. წელიწადში, ბინა, შეშა და მსახური.

სომეხთა ცხოვრება

✦ ამ დღეებში გარდაიცვალა სომეხთა ნერსესიან სემინარიის დამსახურებული მასწავლებელი **გრიგოლ ტერ-ოგანესიანი.** სემინარიის სამზრუნველო საბჭომ დაადგინა, განსვენებულის სახელობაზე ამ სასწავლებელში სტიპენდიები დააარსოს.

გორი.

✦ საშაბათს, 10 სექტემბერს, საღამოს 8—9 საათზე, ადგილობრივმა ვაჭარმა **გიორგი იარალოვმა დამბაჩით მოჰკლა** თავისი ღვიძლი ძმა ალექსანდრე იარალოვი, როგორც ამბობენ, ძმებს დიდი ხანია ერთმანეთში უსიამოვნება ჰქონიათ და მოკლული ალ. იარალოვი არა ერთხელ შესჭრია სახლში მკვლელის ცოლშვილის ასაწიოკებლად. ხსენებულ დღეს იგი „ჩვეულებრივ“ მიხტომია ოჯახში ძმას, მაგრამ ძმას ველარ მოუთმენია და დამბაჩა დაუხლია. მკვლელი თავდების ქვეშ გაანთავისუფლეს.

✦ ადგილობრივ სავაჟო და ქალთა გიმნაზიებთან **დაარსდა მშობელთა წრეები.** ამ წრეების დაარსების განზრახვა აქ დიდიხანია იყო დაბადებული, მაგრამ განხორციელება მხოლოდ წელს ეღირსა.

✦ „ქართლი“-ს სტამბაში უკვე დაიბეჭდა ე. ზოლას გამოჩენილი რომანი **„მაღაროებში მომუშავენი“,** თარგმანი ი. ივალიშვილისა. წიგნი ამ ჟამად იკინძება და მალე დაურიგდება ხელის მომწერთ. შეიცავს 443 გვერდს.

✦ წარსულ გვალვების გამო ძალიან დაზარალდა ს. ხიდისთავი და სხვა ახლო-მახლო სოფლები, საიდანაც უხვად შემოდიოდა ხილი, გორის ბაზარზე. ამიტომ ხილი ძალიან ნაკლებ შემოდის გასასყიდად და დიდი ფასიცა აქვს.

✦ ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიაში **თავისუფალია ქართულ ენის მასწავლებლის ადგილი.**

სასამართლო

✦ **ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან 100,000 მან. დაკარგვის** საქმე ტფ. სამოსამართლო პალატაში დანიშნულია 10 ოქტომბრისთვის. საქმის გამო სამართალში მიცემულნი არიან ოზურგეთის ფ.-ტელეგრაფის კანტორის უფროსად ნამყოფი პ. ს. ასათიანი და ტფ. საკანტროლო პალატის მოსამსახურეებად ნამყოფნი: კობემავიძე, ალესქანდროვსკი, პლოტკოვსკი, ნაცვლიშვილი და ტრუასკოვსკი.

თელავი.

✦ მოკლე ხანში აქაურ ქალთა თაოსნობით ყოველ თვიური **ხელთნაწერი ჟურნალი** გამოვა, შემდეგის სათაურით „ქალთა ცხოვრება“.

სანუგეშო ფიქრები

გასულ ზამთარში ერთ ქართულ წარმოდგენას დავესწარი. ანტრაქტში ვესაუბრე ჩვენს ძვირფას არტისტს ვასო აბაშიძეს სხვათა შორის გაუზიარე ერთი ძველი ნამდვილი ამბავი. როცა ჩრდილო ამერიკაში, კალიფორნიის ერთ ქალაქში პირველად გახსნეს სახალხო თეატრი, იქაურ ოქროს მადნებში მომუშავე ხალხმა სრულებით არ იცოდა, თუ რა არის, რას ემსახურება ეს თეატრი: დაიწყეს თუ არა წარმოდგენა, დამსწრე ხალხი ისე უყურებდა არტისტების თამაშს, როგორც არა მოგონილს, არამედ ნამდვილ ცხოვრებას. ხალხი ისე ღელავდა, იმდენად ააშფოთა ერთმა არტისტმა, რომელიც სასტიკ, ბოროტ ადამიანის როლს თამაშობდა, რომ ერთმა დამსწრეთაგანმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და პირდაპირ ამ მოთამაშე არტისტს დაუშინა.

ეს ამბავი რომ დავასრულე, ვასომ მითხრა; „რაღა შორს წავიდეთ: ამ ჩვენ ქალაქშიაც მოხდა ერთი ამბავი, როცა პირველად სუნდუკიანცის „პეპოს“ ვთამაშობდით. დამწრე ხალხი იმდენად ააშფოთა სცენაზე მაზუთიანის სასტიკმა გაიძვერობამ, რომ შემდეგ გალახვა დაუპირა, კარებთან უდარაჯებდა და ამხანაგებმა ჩუმად გააპარეს ის არტისტი, რომელსაც საფრთხე ელოდაო.

„აი, როგორი დროების მოწმე ვიყავი“, დასძინა ვასომ: დღეს კი, სწორედ ამ საღამოს, ოთხი ქართული წარმოდგენაა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილშიო“.

საგულისხმო ფიქრების წყაროა ეს სიტყვები. დღეს, რასაკვირველია, წარმოუდგენელია, რომ ვინმე თეატრში დამსწრემ მოთამაშე არტისტს სცენაზე რევოლვერი ესროლოს, ან ცემა დაუპიროს. როგორ მოხდა ეს საყურადღებო ამბავი? რამ გამოიწვია ეს წინსვლა, ეს განვითარება ადამიანისა?

როცა ჩვენი დროის ვითარებას დაუკვირდებით, უეჭველად სანუგეშო ფიქრები დაგვებადება. მართალია—მცირე ნაბიჯით, მაგრამ მაინც ბეჯითად და დაუღალავად ვითარდება საქმე ხალხში კეთილ ფიქრებისა და გრძნობების გავრცელებისა.

ქართული წიგნებისა და გაზეთების მკითხველი დღეს უმთავრესად მშრომელი ხალხია. შარშან ბათომში ვიყავი და ზღვის პირად გაშენებული საუცხოო ბულვარი დავიარე. იქ, ბულვარში, დიდი სამკითხველოა, სადაც მრავალს რუსულ და უცხოულ ჟურნალ-გაზეთებს ნახავთ, ქართული კი ერთიც არ მოიძებნება. ვკითხე სამკითხველოს პატრონს, ქართველ კაცს, რატომ არ იწერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს—მეთქი? —არავინ კითხულობს, არავის, მოუთხოვია, თორემ სიამოვნებით გამოვიწერდითო,—იყო პასუხი.

ამ ბულვარში უმთავრესად მაღალი წოდების ხალხი, ეგრეწოდებული განათლებული საზოგადოება დასეირნობს, რომელიც, რასაკვირველია, დიდად არ აფასებს ქართულ მწერლობას.

ერთ ახალგაზდა კაცს ვიცნობ, რომელიც სოფლებსა და ქალაქებში ჰყიდის, ასაღებს ქართულ წიგნებს. იქაც მყიდველი უმთავრესად მშრომელი, მუშა ხალხია.

თეატრის საქმესაც რომ დააკვირდეთ, აქაც სამედო ნიშნებს შეამჩნევთ. როცა ბათომში გულმოდგინედ მომუშავე დასის—„მოგზაურის“—წარმოდგენას დავესწარი, თეატრი გაჭედილი იყო ხალხით; უმთავრესად, რასაკვირველია,—დემოკრატია დაესწრო, 700 კაცი და ქალი.

ცოდნის დიდი წყურვილი დღეს ჩვენ ხალხში, რომელსაც მხოლოდ დაკმაყოფილება სჭირია.

ქალაქებსა და დაბებში მოქმედებენ სახალხო უნივერსიტეტები, გაჩნდნენ პატარა სამაზრო ქალაქებში ქართული გაზეთები, კეთილი სურვილით, რომ ხალხს მდაბიური ენის საშუალებით ცოდნა მიაწოდონ და ადგილობრივ მოღვაწე განათლებულთა ძალები შეჰგუფონ და გააცხოველონ.

იმართება ქალაქებში სახალხო კითხვები; ამ ასპარეზზე, ჩვენდა სასიხარულოდ, დღემდე ნაკლებად მოღვაწე ქართველი ქალები მოქმედობენ. გაიხსნა აქა იქ საღამოს სკოლები, წერა-კითხვის უცოდინარ მუშა ხალხისათვის, რომელიც მხოლოდ საღამოს იცლის ცოდნის შესაძენად.

მოედო სოფლებს კოოპერაციები და საკრედიტო ამხანაგობანი.

აი, როგორც ვსთქვი, ჯერ-ჯერობით სუსტი, მაგრამ მაინც ჩვენი წინსვლის, პროგრესის საიმედო და სასიხარულო ნიშნები. დიდი პასუხის გება გვმართებს ხალხის წინაშე, რომელიც ყველას გვაცხოვრებს, რომლითაც ყველანი ვსულდგმულობთ.

ძველი დროის ანდაზა: „შიში შეიქმნს სიყვარულსო“ ჩვენს დროში ასე უნდა გადასხვაფერდეს: „მოვალეობა შეიქმნს სიყვარულსაო“.

სულითა და გულით განათლებული კაცი არ შეიძლება არ გრძნობდეს, რომ ხალხის დიდი ვალი ჰმართებს, რადგან ეს განათლება ამ ხალხის ოფლმა შესძინა. ეს გრძნობა ვალისა ჰბადებს ამ განათლებული კაცის გულში სიყვარულს, უანგარო მოვალეს მიმართ და კეთილ სურვილს, მის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისათვის.

გუშინ, ღამის ორ საათზე გამომეღვიძა. შევატყვე თავს, რომ აღარ დამეძინებოდა. ჩემს სასთუმალთან მაგიდაზე მდგარს ელექტრონის ლამპარს ხელი მოვავლე და ნაცნობი ჩახრაკი გადავაბრუნე. ლამპარი იმ წამსვე აინთო და მთელი ოთახი გაანათა. ავიღე ხელში წიგნი, გადავშალე, შევხედე ანთებულ ლამპარს და დავფიქრდი. იმისმა ნათელმა, ბრწყინვალა შუქმა თითქო ერთბაშად უდიდესი მცნება გამინათა; მოვალეობა მშრომელ ადამიანის მიმართ, რომელიც იმ დროს, როცა ყველას არხეინად გვძინავს, მღვიძარედ ქალაქის ერთ-ერთ უბანში, ელექტრონის სადგურში, ორთქლისა და ცეცხლის მფრქვევ მანქანასთან ვიღაც დგას, გულმოდგინედ თვალ-ყურს ადევნებს და მის ძლიერ მოძრაობას განაგებს.

სადგურის დიდ დარბაზში, ცხელი, სულის შემხუთველი ბული ტრიალებს მანქანასთან დარაჯად მდგარი ადამიანი ამ ბოლით სუნთქავს და მთელი ღამე არა სძინავს, იმ აზრით, რომ, თუ გავიღვიძეთ, იმ წამსვე „მავთულის საშუალებით, ელექტრონის შუქი მოგვაწოდოს“.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მშრომელ ადამიანს თავის ღარიბულ ბინაზე, არ აქვს ის ელექტრონის შუქი, რომელსაც იგი, როცა ვისურვებთ, იმ წამსვე გვაწვდის.

რად არის დღეს დაჩაგრული ის ადამიანი, რომლის ოფლით ქვეყანა იკვებება? აი მსოფლიო საკითხი, რომელსაც მთელი მოწინავე ქვეყნის მუშა ხალხი უკვირდება და თანდა-თან იმ აზრს ადგება, რომ ხოლოდ მშრომელთა ძმური კავში-

იხსნის მას მძიმე მდგომარეობი-ნ. არც ერთს ხანს კაცობრიობის ტორიისას არ გადაუშლია ადამია-ს თვალთა წინაშე ისეთი დიდე-ლი სურათი ყველა ქვეყნის მუშა-ლხთა კავშირის, სოლიდარობის, იგორსაც დღეს ვხედავთ.

ის კავშირები, რომელნიც საშუა-ო საუკუნოებში აქ იქ კანტი-ნტად მოფახტულნი იყვნენ, დღეს ლ საერთო მოვლენად გადაიქცნენ. არის შორს ის დრო, როცა გან-რციელდება სიტყვები საშუალო უკუნოების მეზღვაურთა უფროს-პიტნებისა, რომელნიც ზღვის შუა ულში მცურავ გემზე მეზღვაურთა მგზავრთ შეჰკრებდნენ და შემ-ეგი სიტყვით მიმართავდნენ ხოლმე: ვენ ღვთისა და ზღვის ზვირთების ლში ვართ, ამიტომ ჩვენ შორის რული თანასწორობა უნდა იყოს. ჩვენ გარეშემო ავდარი, გრიგალი, ღვის ყაჩაღები და ბევრი სხვა საფ-თხეა. ამიტომ უნდა დავიცვათ სრუ-ი წესიერება, რათა ჩვენი მგზავ-რობა კეთილად დაგვირგვინდეს. და-იწყოთ ლოცვით და ვსთხოვოთ ფალს, რათა მგზავრობის ხელის მწყობით ქარი და კეთილი მსვლე-ობა მოგვეცეს და, ზღვის კანონე-ს თანახმად, ავირჩიოთ ჩვენ შო-ის ის კაცები, რომელნიც გემზე აჯულთა თანამდებობას შეასრუ-ლებენ"-ო.

ჩვენც, დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები, ერთგვარი მეზღვაურები ვართ: ცხოვრების ზღვაზე ვცურავთ, წუთი-სოფლის ტალღებს ვებრ-ძვით. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ გარეშემო ბევრი საფრთხე—ავ-დარი, გრიგალი და ყაჩაღობა—გაი-ვერამება გვიდარაჯებს; ამიტომ ჩვენ შორისაც სრული თანასწორობა, მური კავშირი და წესიერება უნდა რსებობდეს, რათა ცხოვრების გზა კეთილად განვლოთ. გვახსოვდეს და ტკიცედ გვრწამდეს, რომ კაცობ-რიობის მთელით ისტორიის დედა-ზრი იმისი, ცხადი მიმართულება ამ ანასწორობასა და ძმური კავშირის მტკიცებაში გამოიხატება. ეს რწმე-ა ჩვენ ადამიანურ სულს ფრთებს ესხამს, კეთილ მოღვაწეობისათვის აფრთოვანებს.

ილია ნაკაშიძე.

ქალთა მოძრაობა ოსმალეთში

ოსმალო ქალების გამოფხიზლება უშინდელი ამბავი არაა. მაგრამ ამ ამოფხიზლებაზე დიდი გავლენა ქონია 1908 წლის რევოლუციამ, რომელმაც მჭიდროდ დაუახლოვა სმალეთი ევროპას, ევროპიულს ანათლებას, მეორე გარემოება, რო-ლმაც დააჩქარა ქალთა მოძრაობა, -იყო ომი. სამშობლოს განადგურე-ას, ომის საშინელებას, მოკავშირე-ა სიმხეცეს არ შეეძლო გული არ აეწვა ოსმალო ქალებისთვის და სინი ამის გავლენით პირველად გა-ვიდნენ საზოგადო მოღვაწეებად. აიწყო მოძრაობა, რომელიც თან-ათან განვითარდა და მალე მოედვა თელს ქვეყანას. მოძრაობამ გადა-ხა ძველებური დახავსებული წე-ბი და ჩააყენა ქალები პირველ ბრძოლ რაზმში.

ქალები ჩაეწერენ წევრებად „წი-ელ ნახევარ-მთვარის" განყოფილე-ბში, მიდიან სამხედრო ბანაკში და თავგამოდებით უვლიან დაჭრილს ომრებს. ამავე დროს მხურვალედ უდგნენ ფულების შეგროვებას აჭრილების, ქვრივების და ობლე-ის სასარგებლოდ.

ასევე მხნედ მუშაობენ „ეროვნუ-ი დაცვის კომიტეტში" და მათი აუღალავი მოღვაწეობა ახალისებს ა ამხნევებს მამა-კაცებსაც. ამგვარი ამბავი შეუძლებელი იყო ომამდე, ანსაკუთრებით აბდულჰამიდის ბა-ტონობის დროს.

ხოლო გასაოცარი თვითმოქმედე-ა გამოიჩინეს ოსმალო ქალებმა მი-ტინგების მოწყობით, რომლებიც აიმართა უნივერსიტეტის შენობაში. ირველი მიტინგი მოწვეული იყო როტესტის გამოსაცხადებლად მო-აშირეთა სიმხეცის წინააღმდეგ. აქ ალები პირველად შეიკრიბნენ ერ-ად, გაეცნენ ერთმანეთს, იგრძნეს ალა შეკავშირებისა და მათი ხმა აისმა ერთ ძლიერ პროტესტად მის სიმხეცის, მშვიდობიან მცხოვ-რებთა, ბავშვების და მოხუცების ამოჟლეტის და ქალების გაუპატიუ-რობის წინააღმდეგ. ამ პროტესტში ამოსახეს მთელი ძალა, სიყვარული, ოკეთე, შებრალება, რომელიც შეუ-ლია გამოიჩინოს მხოლოდ ქალმა.

ამ მიტინგებს მოჰყვა პატარა ყო-ელ დღიური გაზეთის დაარსება ქალთა ქვეყანა"), შემდეგ კი და-არსდა თვითონ კავშირი ქალებისა სახელად „ოსმალეთის საზოგადოება ქალთა უფლების დასაცავად". საზოგადოებამ გამოსცა წესდება, რომლის შესავალში ასე განსაზღვრავს თავის მიზანს და საგანს. აღნიშნავს ოსმალო ქალებსი გამოღვიძებას შეგნებულ ცხოვრებისათვის და ამბობს: თუმცა ქალებს არ შეგვიძლია ჩვენი ქმრების პოლიტიკური მოღვაწეობა, მაგრამ ვცდილობთ ვიცხოვროთ საზოგადოებრივის ცხოვრებით, შევკავშირდეთ, დავადგეთ განვითარების გზას, მოვაწესრიგოთ ჩვენი შრომა და გავაფართოვოთ ჩვენი გონებრივი ფარგალი.

ოსმალო ქალები ჯერ არ მოითხოვენ ინგლისელ სუფრაჟისტებივით პოლიტიკურ უფლებებს, ისინი კმაყოფილდებიან მცირეთი.

„რათა მოაწყოს,—ამბობს წესდების წინასიტყვაობა:—ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა განავითაროს ქალებში შრომის სიყვარული, რათა მოამზადოს განათლებული დედები, რომელთაც ღირსეულად უნდა აღზარდონ მომავალი თაობა, საზოგადოებას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია: 1) შესცვალოს ქალის ტანისამოსი, 2) გამართოს სახელოსნოები, სადაც უნდა მუშაობდნენ ქალები და ქალიშვილები, 3) აამაღლოს გონებრივად ქალები".

არ უნდა გავიკვირდეს, რომ საზოგადოება ასეთ ყურადღებას აქცევს ტანისამოსის შეცვლას. უნდა გვახსოვდეს, რომ ოსმალო ქალის ტანისამოსი მონობის გამომსახველია, ქალის პიროვნების შემბორკველია და ხელს უშლის სხვა ერების ქალებთან დაახლოვებას.

საზოგადოება ჰმართავს სახელოსნოებს იმისთვის, რომ იქ იმუშაონ ღარიბმა ქალებმა და თავის შრომით მოიმზადონ თავისთვის მზითევი.

რაც შეეხება გონებრივ განვითარებას, ამისთვის საზოგადოება აარსებს სკოლებს, გამოსცემს ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს. მოაწყობს ლექციებს და სხ.

დასასრულ საზოგადოება გამოსთქვამს სრულს იმედს, რომ მას ხელს გაუმართავენ ოსმალეთის ყველა ქალები განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა...

არ გასულა დიდი ხანი და ოსმალო ქალებმა სიტყვა საქმედ აქციეს. მათი საზოგადოება უკვე არსებობს და მოქმედობს ფრიად ნაყოფიერად. საზოგადოება ენერგიულად მოღვაწეობს, ქალების განათლებისათვის, უკვე გახსა სახელოსნო ქალებისთვის და მოაწყო „მომხმარებელი ამხანაგობა."

ასეთია მოკლედ ოსმალო ქალების მოძრაობის დასაწყისი. ეჭვი არაა, ეს მოძრაობა საუკეთესო ფურცელია დღევანდელი ოსმალეთის ცხოვრებისა და იგი ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს მის აღორძინებას და განახლებას.

მუშათა ცხოვრება

◆ ტყიბულის მუშებსა და მრეწველებს შორის გამართულ მოლაპარაკებისას გამოირკვა, რომ უკანასკნელნი უთმობენ მუშებს ზოგიერთ მოთხოვნილებებს; მაგალითად: სთანხმდებიან შემოღებულ იქმნას 9 საათის სამუშაო დღე (10 საათის მაგიერ), არსებულ ხელფასს 10 პროც. მოუმატოს, მიღება-დათხოვნის უფლებას მუშებს უთმობენ და სხვ. მუშებიც მომხრე ყოფილან, რომ ასეთი შეთანხმებით შემდეგ მუშაობა განაახლონ.

◆ გროზნოში 7 სექტემბერს დასრულდა ნავთის სამრეწველოთა მუშების გაფიცვა. 6 სექტემბერს მოხდა შეერთებული კრება გროზნოს ყველა ნავთის სამრეწველოს მუშების დელეგატებისა, ნავთის მრეწველთა წარმომადგენლებისა, ადგილობრივ ადმინისტრაციისა და საქარხნო ინსპექციისა.

ოლქის ინსპექტორმა სამუშაო ხელფასის მისაცემად შემდეგი წინადადება შეიტანა: ყველა მუშას, რომელიც დღიურად მანეთზე ნაკლებს იღებს, 25 პროც. მიემატოს, რომელნიც 1—2 მანეთამდე იღებენ—მათ მიემატოს 20 პროც., და ვინც 2 მანეთზე მეტს იღებს—15 პროც.

ყველა მუშას ეძლევა აგრეთვე ბინის ქირა; ცოლშვილიანი მუშები იღებენ, ზამთრობით—17 მანეთსა და ზაფხულობით—12 მანეთს თვეში. უცოლშვილო მუშებს კი მიეცემათ, ზამთრობით—7 მანეთი და ზაფხულობით 5 მანეთი თვეში. მუშაობის ხელფასისა და ბინის ქირის მომატებული ფასები დაენიშნებათ იმ დღიდან, როდესაც მუშაობას დაიწყებენ. მუშების დელეგატებმა განაცხადეს პირობების მიღება არ შეუძლიათ ისე, თუ წინასწარ მუშებს არ მოელაპარაკებიან. ამის გამო კრება შეწყდა.

წილის ყრა

სკამს იჯდა ბაბურაული
გუდანს გუდანის ჯვარშია—
გარეთ იყოფდენ ნადავლსა
ჩოჩქოლი ისმის ჯარშია.
წილის ყრა არი, ცილობა,
ათას ცხვარს ორას ხარშია.
გმირს არ აჯავრებს ნადავლი,
შაკრული არი წარბშია
სახელს ვერ გასცვლის დავლაზე
მით არ ერევა ხალხშია—
არაფრად იმჩნევს ჰრიალობას,
ნატყვიარი სჭირს მკლავშია.
წინ უზის ჩოქზე დასტური,
შავს ლუდს უმატებს თასშია.
„ვინაც მადლს სჩადის, სანთელი
„მისი არ ჰქრება ცაშია...
„გამრავლდეს შენფერეები
„გუდანის ჯვარის ყმაშია!"
დასტური ბაბურაულის
ქების სიტყვების თქმაშია:
„უჯიშო-უხეირონი
„გამოსადეგნი რაშია?!
„კაი ბიჭობას იჩენენ
„მარტოკა ლუდის სმაშია.
„ულვაშებ დაწკეპილები
„წამოსხდებიან თავშია...
„შენ ფერა, ბაბურაულო,
„არავინა გვყავ მთაშია.
„იცოცხლე, დიეხანს იცოცხლე!"
დასტურმაც კონჩხას ასწია.
წილის მყრელები შავიდნენ
ბაბურაულთან ხატშია
და უთხრეს:—თავისი წილი
წამო, წაიღე, ბერდია!—
ხელს იქნევს ბაბურაული
მაღლა ასწია მკერდია
თქვენ იყოს, სხვა არა მინდა,
ბიჭებო, ლუდის მეტია,
—რად არ? საკარმყმოც შენ გერ-
ხარი თორმეტზე მეტია. | გო,
მომდურავ არვინა რჩება
ყველას ულიმის ბედია.
„არ მინდა, გეტყვით, გაიგეთ,
იქნას რაც დამიყბედია—
მე არ ავიღებ არაფერს,
კვლავ ეუბნება ბერდია:
ასე მაქვს ხატთან პირობა,
კვლავაც შაგვეწევა ღმერთია—
თქვენ იყოს, თქვენი ჩემ წილი
თხაც კი არ მინდა ერთია.
უთხრა და თან გაიბრუნა
გვერდზე მორგვივით ქედია.

ვაჟა-ფშაველა.

ამ დროს კი ამ სახლთან, სადაც თათბირი ხდებოდა 5000-მდე მუშა იყო შეგროვილი, რომელნიც ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ამ პირობებზე დასთანხმდნენ.

კრების განახლებისას მუშების დელეგატებმა და კრების თავმჯდომარემ, ოლქის ატამანის თანაშემწემ გენერ. სტეპანოვმა, ხელი მოაწერეს ოქმს მუშებსა და მრეწველებ შორის შეთანხმების შესახებ.

7 სექტემბერს, დილის 12 საათზე გროზნოს ყველა სამრეწველოში მუშაობა განახლდა.

◆ ნიკოლაევის საბირჟო კომიტეტის წარმომადგენელმა პეტერბურგში ნ. მილერმა კომიტეტისგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „უკანასკნელ ორ დღის განმავლობაში მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია ხორბლის დამტვირთავ მუშების გაფიცვამ, არ შეცვლილა. დატვირთვა-გადმოტვირთვა ხდება ტუსაღებისა და ქალი მუშების შემწეობით ძლიერ ცუდად და გვიანაც.

ნავთ-სადგური ფაქტიურად უსიცოცხლოა. გემების დატვირთვა ნაპირებიდან არა ხდება. ტვირთის გემები ნავთსადგურიდან წასვლას ლამობენ. რაიონიდან ხორბლის ჩამოზიდვაც შეჩერებულია, რაც დიდ ზარალს აყენებს ხორბლის მოვაჭრეებს. ადგილობრივი მიმღებნი დიდად დაზარალდნენ, რადგან დიდ ჯარიმას იხდიან. ამ დროს კი მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია, რადგან თუ მუშების პირობებს მივიღებთ, მაშინ ხარჯი ერთი-ორად გადიდდება და ხორბლის ფასი აქ უფრო დიდი იქნება, ვიდრე სხვა ნავთსადგურებში"-ო.

რიგა. განაახლეს მუშაობა ასპილის ფაბრიკისა, ჟუტოვის სამანუფაქტოროსი, სირიუსის ქარხნისა და ელექტრონის კამპანიის მუშებმა.

ბაქო. ნობელის ქარხანაში გაფიცვა გაჭიანურდა. ფირმამ გამოაცხადა: ბინები დასცალეთო.

მოწერილი ამბები

ქ. თელავი. ჩვენი ქალაქის კულტურულ დაწესებულებათა შორის შეიძლება ჩაითვალოს საზოგადო საკრებულოც, ანუ კლუბი, რომლის არსებობა წლიდან-წლამდე მეტად უფეროლად მიმდინარეობს და ასევე უფერული იყო მის წევრთა წლიური კრებაც. 1912 წ. ანგარიშის და ამ 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვის ჩვეულებრივ განხილვა-დამტკიცების შემდეგ, მოხდა მამასახლისთა არჩევნები და ესეც „მინდა არ მინდა, გმადლობით" გათავდა.

რასაკვირველია, ასეთ დაწესებულებას, რომლის ხარჯთ-აღრიცხვა წლიურად 7.347 მან. შეადგენს, ჩვენს დაქვეითებულს ცხოვრებაში, შეეძლო თუ წინ არ წაეწია იგი, ხელი მაინც შეეწყო საზოგადოების გამოფხიზლებისათვის. მაგრამ ამის მაგვარს ვერასა ვხედავთ კლუბის ცხოვრებაში და მის ბატონ-პატრონთ ისიც დიდ საქმედ მიაჩნიათ, როცა ხან და ხან წარმოდგენებისთვის უთმობენ ხოლმე დარბაზს, თუმცა აქაც იმდენი ხელის შემშლელი პირობები ეღობება წინ, რომ უმჯობესია უარის თქმა; ლამფებიდან და სკამებიდან დაწყებული, თვითონ უნდა ათრიონ, დეკორაციების ხსენება ხომ არ არის. ეს კიდევ არაფერი, რეპეტიციები თუ ცოტა ხანს შეუგვიანდათ, მაშინვე ძლევამოსილი მამასახლისი ითხოვს დარბაზის განთავისუფლებას იაფფასიან ან სახალხო წარმოდგენებისთვის იშვიათ შემთხვევაშიაც არ აძლევენ დარბაზს, რადგანაც მდაბიო ხალხს „კალოშები" არ აცვია და იატაკს გააფუჭებენო...

აი ამით გამოიხატება კლუბის კულტურული სამსახური საზოგადოების წინაშე, მაგრამ ამავე კრებაზე ერთმა წევრმა მედიდურად განაცხადა: ხშირად ნუ აძლევთ დარბაზს წარმოდგენებისთვის, ველარ ვიკრიბებით (ალბად ბანქოს სათამაშოდ) და შეიძლება მას ბევრი მომხრე გამოსჩენოდა, ერთი წევრი რომ არ ამხედრებულიყო ასეთ განცხადების წინააღმდეგ.

ეს არც გასაკვირველია, რადგანაც კლუბის წევრთა მსოფლ-მხედველობა მწვანე მაუდს ვერ გასცილებია და ამისთვის ის უფრო სათამაშო სახლს წააგავს, სადაც მამა-კაცთა გარდა ჩვენი დედები და ქალებიც ღამის 2 საათამდე თავს იქცევენ ხოლმე.

ამნაირად ჩვენ საკრებულოს მარტო შემოსავლის მხარე აინტერესებს და არც გასაკვირველია თუ აქამდე რაღაც 4000 მან. გადაუნარჩუნებია, მაგრამ ეს რაღა გადარჩენაა, როცა საკმაო სკამი და მაგიდა ვერ შეუძენიათ, რომ საკუჭნაოდან არ გამოიტანონ ხოლმე; განათება არაა რიგიანი, სცენა ცარიელია, ბიბლიოთეკიდან ქართული ჟურნალ-გაზეთები განდევნილია (ეს უფრო არ ნდომითაა, ვიდრე უსახსრობით) და სხვა.

ზემო დასახელებულ კრებაზე აღიძრა საკითხი დეკორაციების შეძენისა, საზაფხულო სადგომის მოწყობაზე და სხვა. მოხდა ახალი არჩევნებიც, თუმცა ზოგნი ისევ ძველები დარჩნენ, მაგრამ, როგორც კრებებზე დავრწმუნდი, განახლების ნიშნები მაინც ეტყობა და, იმედია, ამის შემდეგ წინსვლელობის გზას დაადგება: სცენა უკეთესად მოეწყობა, ბიბლიოთეკა ქართული ჟურნალ-გაზეთებით შეივსება, საზაფხულო შენობა ეღირსება, საოჯახო საღამოებს ადგილი ექნება და მაშინ 67 წევრის მაგიერ ერთი-ორად და სამად მეტი ჩაეწერება, თორემ 5 კ. პუდრის ყიდვა, იატაკზე ძოსაყრელად, რათა 5—6 წლის ბავშვებს ცეკვა შეასწავლონ, ვერაფერ მოღვაწეობად ჩაითვლება ჩვენი კლუბის ცხოვრებაში...

დავიწყებული.

უცხოეთი

გაფიცვები ინგლისში.

დუბლინის მრეწველებმა ლოკაუტი გამოაცხადეს ტრანსპორტის მუშების გაფიცვის საპასუხოდ. ლოკაუტს მრეწველნი მტკიცედ ასრულებენ, ამჟამად უმუშევართა რიცხვი დუბლინში ოცი ათასამდე ავიდა, უმუშევრად დარჩენილთა უმრავლესობა გემების სააღმშენებლოში მომუშავენი არიან. ამათ გარდა 1500 სოფლის მუშაა გაფიცული. ფერმების ასოციაციამ გახაცხადა: უნიონის წევრი მუშები ასოციაციის მუშებად ვერ დარჩებიანო. მუშებმა მიტინგი გამართეს და გადასწყვიტეს, გაიფიცნენ. ლოკაუტის შემდეგი დღესვე აშკარაა—ვაჭრობა შეჩერებულია, აუარებელი საქონელი აწყვია ნავთსადგურში. მრავალი დატვირთული გემი ნავთსადგურში სდგას. საკანალიზაციო მუშაობა შეჩერებულია, აათხრილი სამილე ორმოები წყლით აივსო. დუბლინის ახლოს სოფლის მუშებს შეტაკება მოუვიდათ პოლიციასთან, მუშები პოლიციას ქვებს ესროდნენ. ვინ გაიმარჯვებს—ჯერ-ჯერობით არავინ იცის. მუშებში გაჭივრებამ ეხლავ იჩინა თავი. მრეწველები მუშებთან მოლაპარაკების დაწყებას გაურბიან. მრეწველების უმრავლესობას გადაწყვეტილი აქვს, რათაც არ უნდა დაუჯდეს მუშების უნიონები მოსპონ. ტრედ-უნიონების კონგრესის დელეგატებმა, რომელთაც მოლაპარაკება გამართეს, ვერაფერი გააწყვეს. დუბლინის გაფიცვებს სხვა ქალაქებიც გამოეხმაურნენ. მიუხედავად მუშათა ხელმძღვანელების გაფრთხილებისა, რათა მხარი არ მიეცათ გაფიცულთათვის, ლივერპულში დიდი მღელვარებაა მუშებში. ლივერპულში სამმა მუშამ უარი განაცხადა ვაგონის დატვირთვაზე, რადგანაც ვაგონი დუბლინში იგზავნებოდა. მუშები დაითხოვეს. უნიონის მუშებმა მუშაობას თავი დაანებეს. პირველ დღესვე ათასი კაცი გაიფიცა, შემდეგ გაფიცულთა რიცხვი ხუთი ათასამდე ავიდა. აქედან გაფიცვის ალი ბირმინჰამსა და მანჩესტერს მოედვა. ბირმინჰამში გაფიცვის მიზეზი იგივე იყო, რაც ლივერპულში—მუშებმა უარი განაცხადეს დუბლინში მიმავალ ვაგონების დატვირთვაზე. გაფიცულია ოთხი ათასი კაცი. მანჩესტერში სამი ათასი მუშა გაფიცული. ყველაზე საგრძნობელია რკინის გზის მუშების გაფიცვა. ბირმინჰამსა და მანჩესტერს შორის საბარგო მატარებლების მიმოსვლა შესწყდა, სამგზავრო მატარებელთა რიცხვიც შემცირდა. ეს გაფიცვა დაიწყო მუშათა მასსიდან, ხელმძღვანელთ არც კი სცოდნიათ-რა ამ გაფიცვისა. ინგლისის მუშების დასახასიათებლად ეს ფრიად საყურადღებოა. ლონდონში დუბლინის გაფიცვის დამოუკიდებლად ომნიბუსთა კომპანიის მომუშავეთა გაფიცვა დაიწყო. აქაც ბრძოლა ტრედ-უნიონების აღიარებისთვის არის. ამ დღეებში მომუშავენი დაითხოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტრედ-უნიონების ნიშანს ატარებდნენ. შეკრებილმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, თუ დათხოვნილებს არ მიიღებდნენ. გაფიცვაში მონაწილეობა უნდა მიეღო 17 ათას კაცს. ეხლა ტელეგრაფი გვატყობინებს, რომ გაფიცვა აღარ მოხდა ორივე მხარის შეთანხმებისა გამო.

თეატრი და ხელოვნება

მუსულმანთა აუდიტორიაში, კვირას, 15 სექტემბერს, ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე სეზონსა ხსნის ა. ცაგარლის 3 მოქ. კომედიით „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ფასები სახალხოა, 4—50 კაპ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დეპეშები

(დეპეშათა აგენტ. სააგენტოსაგან).

12 სექტემბერი.

უცხოეთი.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო უარჰყოფს ხმებს, თითქოს ავსტრიისა და ბულგარეთს ხელშეკრულება დაედოთ, რისთვისაც ღენერალი ფიჩევი თითქოს ვენას წავიდა, ღენერალი ფიჩევი ეხლა კრალსბადში იმყოფება.

ბულგარეთის სააგენტო უარჰყოფს რუსული გაზეთების ცნობას, თითქოს ბულგარეთის დელეგატს ეთქვას-ყველაფერში ბრალი ედებათ საზონოვს, დანევს და მაკედონელებსო, არც ერთ ბულგარელ დელეგატს მაგის მზგავსი რამ არ უთქვამს.

ბელგრადი. მორავიის დივიზიის გარდა კიდევ ახალი დივიზია გაგზავნეს ალბანელების წინააღმდეგ, დივიზიაში რვა პოლკი შედის.

სტამბოლი. ზავის კონფერენციაზე უმრავლესობა საკითხებისა გადასწყდა, გადაიდვა ვაკუფებისა და სამხედრო ტყვეების საკითხი. 12 სექტემბრისთვის კონფერენცია მუშაობას დაასრულებს.

ტოკიო. ოპოზიციონური გაზეთები აცხადებენ, იაპონია-ინგლისის კავშირს ყოველივე აზრი დაეკარგაო: იაპონიას უფლებები უნდა ჰქონდეს იანციკიანგის თაობაზე.

ეჭვით დაატუსაღეს გარეშე საქმეთა მინისტრის მოკვლის განმზრახველი, რომელსაც მკვლელთან მეგობრობა ჰქონდა.

ცნობაა, ჩჟანსუნი უარს ამბობს—იაპონელთა მოთხოვნანი შეასრულოს და ჯარს აგროვებს იაპონელთა წინააღმდეგო. იაპონელები მოსალოდნელ სისხლისღვრის შიშით საკონსულოს აფარებენ თავს.

ბერნი. დასრულდა საერთაშორისო მუშათა დაცვის კონფერენცია. ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა, გარდა რუსეთის წარმომადგენლისა, ხელი მოაწერა საბოლოო ოქმს. რუს წარმომადგენელს საამისო დავალება ჰქონდა.

ბრესტი. რუსეთის ესკადრა აქედან გაემგზავრა. პატივისცემის ნიშნად ფრანგები რუსულს ჰიმნს მღეროდნენ.

ვენა. „ნეიე-ფრეი-პრესე" იუწყება: დაითხოვეს სათადარიგო ჯარისკაცები, 1913 წელს გაზაფხულზე რომ იყვნენ გაწვეულნი.

ზაგრები. დეიჩის 16 წლის კატორღა გადაუწყვიტეს.

ეპიდემიის დასაწყისიდან ხორვატიაში ხოლერით ავად გახდა 282, გარდაიცვალა 131 კაცი.

ლვოვი. ოპორჟეცში ხოლერით ავად გახდა ორი, ტუხლაში 1 კაცი.

სალონიკი. ხმებია, კორიცის მცხოვრებლები პროტესტს აცხადებენ ალბანეთთან შეერთებისა გამო. ქალაქს გადავწვავთ, თუ ალბანეთს შეგვიერთებთო.

პარიზი. გაზ. „ლიბერტე"-ს სიტყვით, ოფიციალური წრეები ჰფიქრობენ რომ, ნაციონალურ სესხის განაღდებას წინ უნდა უძღოდეს სხვა სესხების გაცემა, განსაკუთრებით აღმოსავლეთისა.

ლარაში. ესპანელები თავს დაესხნენ აონზარს, მოჰკლეს 18 ადგილობრივი მცხოვრები. ესპანელების არტილერიამ მოსპო რამდენიმე დუარი. ესპანელთაგან მოკვდა ორი აფიცერი, ხუთი ჯარის-კაცი და დაიჭრა 3 აფიცერი და 16 ჯარის-კაცი.

მანჩესტერი. ნავსადგურის მუშების გაფიცვა დასრულდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. 24 სექტემბრისთვის დასრულდება სრულიად რუსეთის საჰიგიენო გამოფენა.

უმაღლესი ბრძანებით ხერსონის თავად-აზნაურთა 50 სტიპენდიას უმაღლესსა და საშუალო სასწავლებელში მოსწავლეთათვის დაარსებულს რომანოვის სახელწოდება ექნება.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა გარეშე საქმეთა მინისტრის პროექტი ალბანეთში საკონსულოს დაარსების თაობაზე. პროექტი სათათბიროს წარედგინება.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა კანონ-პროექტი პენსიებისა და ერთდროულ შემწეობათა თაობაზე. კანონ-პროექტები სათათბიროს წარედგინება.

მინისტრთა საბჭომ შესაძლებლად სცნო დონის ქვა-ნახშირის მრეწველთ ნება მიეცეთ საზღვარგარეთულ ქვა-ნახშირის შემოტანისა, და რომ მრეწველნი საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნენ. ასეთივე უფლებით ლიფლანდიის რკინის გზის საზოგადოებას ნება მიეცა 300,000 ფუ. ქვა-ნახშირის შემოტანისა.

მოსკოვი. მთავრობამ შეაჩერა გაზეთი: „ნაშ პუტ"-ი.

ნიკოლაევი. სათათბიროს წევრებმა დაათვალიერეს ნავთსადგური, გემების სააღმშენებლო ქარხანა და ეკატერინოსლავს გაემგზავრნენ.

სევასტოპოლი. ზღვაზე ძლიერი მღელვარებაა. ნავთსადგურთან მიმოსვლა შეწყვეტილია.

ვინიცა. ცეცხლი გაუჩნდა ბრაილოვის მოხასტერს. გამოწვეულია ცეცხლის მქრობელნი.

ოდესა. მალინოვსკი ყირიმში გაემგზავრა. სიმფეროპოლში მალინოვსკის ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნება ღონისძიებანი ხოლერის წინააღმდეგ.

ეკატერინოდარი. შეიარაღებულ თავდასხმისთვის, მკვლელობისთვის და პოლიციის იარაღით წინააღმდეგობის გაწევისთვის ერთს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ოთხს ოცი წლით კატორღა.

ოდესა. ხოლერისაგან გარდაიცვალა რუსის საზოგადოების გემის მექანიკოსი.

პოლტავა. პოლტავის მაზრაში სოფელ პუშკარევკაში მიწაში იპოვეს 21 სხვა და სხვა ფული მეჩვიდმეტე საუკუნისა.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა ახალი კანონი, რომლითაც სახელმწიფოს მოღალატეთა ჯაშუშების სასჯელი ძლიერდება. ეს კანონი შეთანხმებულია 1912 წლის კანონთან.

დაიჭირეს მეორე ნომერი „პრავდა ტრუდა"-სი და მე-30 ნომერი: „ნოვაია რაბოჩაია გაზეტა"-სი.

ნოვოჩერკასკი. კოოპერაციის წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა: იშუამდგომლოს, რათა ელევატორების აშენება კოოპერაციებს მიენდოს. კრებამ აგრეთვე სასურველად სცნო, მოსკოვის სახალხო ბანკის მოქმედება დონის ოლქზედაც გავრცელდეს კოოპერატიულ და საკრედიტო ამხანაგობათა შემწეობით. საჭიროდ იქნა აღიარებული, სარატოვში სახალხო ბანკის განყოფილება გაიხსნას.

რედაქტორი ა. ჟუმბაძე.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მასწავლებელი

სიმ. ა. გრიაზნოვი

ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე. სააფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.

ადრესი: ვერა, იზმაილოვის შესახვევი სახ. 6, ბინა 8. 584.

გონორრეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:

„SALO — პიხილინ".

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ. **აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტბად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარებას.**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.

Метцль 2°238. 1038

ფეხსაცმელები

თომა დ ჯანჯარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში,

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: **საკუთარი დ პეტერბ.** მეხანიკური ნაწარმოები. 527

სარძევე **„შვეიცარია"** საკონდიტერო

ლორის-მელიქოვის ქუჩიდან, № 6, გადავიდა გიორგიევის ქუჩაზე № 1, სახლი მირიმანოვისა, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ახლად და მშვენიერად განახლებულ სადგომში: **სანოვაგე ახალი, ხელმისაწდომ ფასად.** მოგვდის ყველა გაზეთი. 621

უფლებიანი **სავაჭრო სკოლა** უფლებიანი

და საბუღალტრო კურსები

ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა,

ნახვა შეიძლება დილის 8—2 საათამდე, სკოლაში, თუმანოვის ქ. № 13, და საღამოს 5—8 საათ. კურსებზე მიხეილის პროსპ., № 53. 615

ოქროს მედალი ოქროს მედალი

Золотая медаль.
Золотая медаль
Похвальный отзывъ за Всероссiйскую выставку
въ Н. Новгородѣ въ 1896 г.

შპალიერი

მოსკოვის საქარხნო საწყობისა

ვლადიმერ ალპატოვისა

GRAND-PRIX

ო. მ. ყუნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისთანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასართოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. მელიქსიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ა. დ. ზურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ:

მ. გ. მელიქსიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

ლოკომობილი

რვა ძალიანი,

ვყიდი იაფად, შეიძლება მსურველს [illegible], იკითხეთ მეღუქნე გერმანე ყიფიანი. 625

სპერმინი

სპერმინ-პელი ერთად ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-მხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩაჩანაკებისა, საერთო სისუსტისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, ქლექისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ჩქროლა, გულის ცემა და მიკორდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დაღლილობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს:

სპერმინ-პელია,

და მოერიდეთ უფასო უვარგის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძარღვების წვენს, რომელნიც **სპერმინ-პელიასთან** არც შემადგენლობით და არც მოქმედებით არავითარი საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. **სპერმი-პელია** ყველგან იშოვება.

პროფესორი ექიმი პელი და შვილები, ს.-პეტერბურგი.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.

Метцль. 111309. 1443

ადამიანებს!

პარიჟის სულმთლად ახალი ფასონები

კორსეტებისა

ვენის საკორსეტო ელექტრონის სახელოსნოში

მ. ა. ლევიტი,

ტფილისი, პეტრე დიდისა და სოლოლაკის ქუჩის კუთხე. 1168



1078

Общество Граммофонъ съ огр. отв.

въ Лондонѣ.

მიღებულია

ახალი ფირფიტები

ცნობილ მომღერალთა სიმღერებით,

როგორც მაგალითად:

ბაგრატისა, გევორქ შულამერელისა, ისლამ აბდულაევისა, მაჯიდასი, ჰამიტ-კურბანოვისა და სხ

ახალი ამბავი!

მგოსანი აკაკი გრამოფონში

ახალი ამბავი!

ყველა ჩვენ ფირფიტას აქვს ყველგან ცნობილი ნიშანი:

„მწერავი ამური".

ფირფიტების სია უფასოდ.

ОТДѢЛЕНIЕ ДЛЯ КАВКАЗА и ЗАКАСПIЙСКАГО КРАЯ

ТИФЛИСЪ,

Головинскiй пр., 9,

ПРОТИВЪ ВОЕННАГО СОБОРА.

1432

ცინკოგრაფია

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ **კლიშეების დამზადებას**

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12

1009

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

საბუღალტრო კურსები

ნ. პ. აბრაამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

ექსტერნები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმჯდომარეობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

საბუღალტრო კურსები

გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები:

ბრძოლა, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო . . .	1 მ.
გიორგი ხანძთელის ცხოვრება, .	3—
გოგებაშვილის რჩეულ. ნაწერები,	1—
გაბაშვილი ეკატ. თხზულებანი.	1—20 ,,
ეტიუდები მე-19-ე საუკ. ქართულ ლიტ. შესახებ, კ. აბაშიძისა, ტ. 1,	70 ,,
იგივე, ტ. 2-ე,	70 ,,
ექსპერიმენტალ. პედაგოგიკა. უზნაძე,	75 ,,
ვეფხის ტყაოსანი, წ.-კ. საზ. გამ.	60 ,,
,, ქართველიშვილის გამ.	1—65 ,,
კახეთის ამბოხება, ა. ფრ .	60 ,,
მთიულეთი,	40 ,,
მეჯღანუაშვილი, .	50 ,,
მაცი ხვიტია, .	50 ,,
რჩეული ნაწ., გ. ერისთავისა	60
ქალთ-ეთერი და სირინ., ევდ.	10
ქართვ. ერის ტრაგ. (გიორგი სააკაძე და მისი დრო), ქვარ. .	40
ჩემი ნანინა, ახოსპირ. .	10
ახლად მიღებული წიგნები:	
ჩემი ნაწერები, ტ. მე-2-ე, აკაკისა	75
კოოპერატივები იტალიაში,	50
წვრილი კრედიტის დაწესებულება,	10
О доисторическомъ языкѣ Закавказья, К. М. Т. . . .	65
Обитель Св. Давида въ Грузiи,	25
Памяти ген. кн. Цицiанова,	25
Изъ поѣздки въ Сванiю, Б. Марри,	30

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

---

95 კაპეიკად

განცვიფრებაში მოჰყავს ყველა საოჯახო სათვალთმაქცო წიგნაკს!



ამ წიგნაკის საშუალებით ყველას შეუძლიან სხვისი აზრი გაიგოს, გამოიწვიოს აჩრდილი, შეიტყოს ვის ვინ უყვარს. ვის რა ჰქვიან. გადააქციოს ჯოხი გველად, ხოლო წყალი—ღვინოდ, მოგვობის საიდუმლო უკვე ახსნილია. ფარდა აწ უკვე აწეულია და ეხლა შეგიძლიანთ აიღოთ ტიტველი ხელში გახურებული რკინა; ენაში გაიყაროთ ლურსმანი; გაიტაროთ გვამშიგ რძელი ხმალი; აჩვენოთ მოჭრილი მოლაპარაკე თავი და თქვენი თავის უვნებლად გარდაქმნა. ხელოვნება, თუ როგორ გააკეთოთ ფული წყლისაგან, შეგიძლიანთ გაავსოთ ერთ წამში ოთახი წყლითა ან და ნისლით და ბევრი სხვა გასაოცარი თვალთმაქცობა ჩაიდინოთ. თვალთმაქცობის შესრულების დროს ყოველი სახლი შეგიძლიანთ აქციოთ ნაზრახ კოშკად. ფასი 95 კაპ. გამოიგზავნება ფასდადებითაც. გამოგზავნისათვის და ფასდადებისათვის გადასახდელი იქნება 25 კ. ერიდეთ სიყალბეს! ახალი გამოცემა ბევრად შევსებულია, **272 გვერდი** და მრავალი სურათი.

M. 45736. **მისამართი:** Т—во „Заря", Варшава, отд. 95. 1437

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი

ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები

ი. თ. პალატნიკოვისა.

თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესულნი საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) უცხო ენები: ფრანგ. და გერმან.. 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი **ახალ-ახალი**

ძმ. მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

მეგველოვები.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა (ქიტკა)

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9

ტელეფონი № 712.

პ. ს.

დოლუხანოვის

მთავარ მაღაზიაში

სოლოლაკის ქ. სახლი გურგენოვისა № 2, ტელეფონი 583.

მომავალ სეზონისთვის

„შემოდგომა და ზამთარი"

მიღებულია სრულებით ახალი საქონელი:

აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ტრიკო, დრაპი და მაუდი, სასუფრე ტილოები და სხვა და სხვა სელის ნაწარმოებნი; საცვლები, მამაკაცთა და ქალთათვის; წინდები ქალთა და ვაჟთათვის; და სხვა შალის ტრიკოტაჟი ნაწარმოები, ხალიჩები დიდი და პატარა, ფარდაგები, თბილი საბნები, ცხვირსახოცები და წამოსასხამები.

საწყობი ტილოსი, მაუდისა, რავენდუკისა და სხვა.

ფასები შეუდარებლად.

ნიმუშები ქალაქ გარედ მცხოვრებთ გაეგზავნებათ უფასოდ.

ვასრულებთ საავადმყოფოების და სხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათათვის შეკვეთილ სამუშაოს. 1479.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".